

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის ბრძანება

№ს/23, 2015 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების მე-3 მუხლისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2015 წლის 16 აპრილის №18/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტები“ დანართი №2-ის შესაბამისად.
 - 2¹. დამტკიცდეს „სასწავლო პროგრამის სარეგისტრაციო განცხადების წარმოდგენის ფორმა“, დანართი №3-ის შესაბამისად.
 - 2². დამტკიცდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამის წარმოდგენის ფორმა“, დანართი №4-ის შესაბამისად.
 - 2³. დამტკიცდეს „სასწავლო გეგმის წარმოდგენის ფორმა“, დანართი №5-ის შესაბამისად.
 - 2⁴. დამტკიცდეს „მწვრთნელის/მწვრთნელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემების წარმოდგენის ფორმა“, დანართი №6-ის შესაბამისად.
 - 2⁵. დამტკიცდეს „სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების დადგენის ანგარიშის წარმოდგენის ფორმა“ დანართი №7-ის შესაბამისად.
 - 2⁶. დამტკიცდეს „ექსპერტის შუალედური დასკვნის ფორმა“, დანართი №8-ის შესაბამისად.

27. დამტკიცდეს „სასწავლო პროგრამის შეფასების საბოლოო დასკვნის ფორმა“, დანართი №9-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს დაინტერესებული პირებისთვის ამ ბრძანების გაცნობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

6. ამ ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი, გარდა, „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს 2016 წლის პირველი მარტიდან;

ბ) პირველი პუნქტით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან;

გ) მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან.

7. 2016 წელს რეგისტრირებული სასწავლო პროგრამების რეგისტრაციის გადაწყვეტილება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრამდე.

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 1 მარტის №ს/6 ბრძანებით.

ცენტრის დირექტორი

გიორგი ტოკლიკიშვილი

დანართი №1

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების
სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესი“ (შემდგომ - წესი) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) მიერ სასწავლო პროგრამების რეესტრში ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის (შემდგომ - სასწავლო პროგრამა) რეგისტრაციის პირობებსა და პროცედურებს, რეგისტრაციის ვადის გაგრძელებისა და რეგისტრაციის გაუქმების, რეგისტრირებული სასწავლო პროგრამის ხარისხის მართვის წესებს.

მუხლი 2. სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის მიზანი

სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის მიზანია სპეციალურ სტანდარტებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის გზით, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) განმცხადებელი - პირი, რომელსაც ცენტრში წარდგენილი აქვს სარეგისტრაციო განაცხადი სასწავლო პროგრამის სასწავლო პროგრამების რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე;

ბ) მონიტორინგი - სასწავლო პროგრამების რეესტრში რეგისტრირებული სასწავლო პროგრამის მიწოდებისა და მისი შედეგების შემოწმება, ასევე რეგისტრირებულ სასწავლო პროგრამაში ცვლილების შემთხვევაში, სპეციალურ სტანდარტებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობის შემოწმება;

გ) საბოლოო დასკვნა - ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით ცენტრის თანამშრომლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასების ექსპერტ(ებ)ის (შემდგომ - ექსპერტი) შუალედურ დასკვნებში/დასკვნაში ასახული სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასება და ანალიზი; ცენტრის თანამშრომლის მიერ სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტთან სასწავლო პროგრამის რესურსების შესაბამისობის ან შეუსაბამობის თაობაზე ინფორმაცია; ცენტრის დირექტორისათვის მიცემული რეკომენდაცია სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და რეკომენდაცია სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიმართ;

დ) სასწავლო პროგრამა - ცენტრის მიერ დადგენილი წარმოდგენის ფორმით შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროგრამის მიზნები, სასწავლო პროგრამის შინაარსი, რესურსები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

ე) სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი - იურიდიული პირი ან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომლის სასწავლო პროგრამა ელექტრონულად რეგისტრირებულია სასწავლო პროგრამების რეესტრში;

ვ) სასწავლო პროგრამების რეესტრი - ცენტრის მიერ რეგისტრირებული სასწავლო

პროგრამების ელექტრონული ბაზა;

ზ) სპეციალური სტანდარტი - სასწავლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროგრამების რეესტრში (შემდგომ - რეესტრი) რეგისტრაციის მიზნით, სასწავლო პროგრამისთვის დადგენილი მოთხოვნების ერთობლიობა, ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით;

თ) შუალედური დასკვნა - ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ექსპერტის მიერ სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასება, რომელშიც აისახება სასწავლო პროგრამის სპეციალურ სტანდარტებთან შესაბამისობა.

თავი II. სასწავლო პროგრამის რეგისტრაცია

მუხლი 4. სარეგისტრაციო განაცხადი

1. სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ იურიდიულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სარეგისტრაციო განაცხადი მოიცავს:

ა) განცხადებას;

ბ) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში, ინფორმაციას საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა რეესტრიდან;

გ) ზოგად დოკუმენტებს: სასწავლო პროგრამის სერტიფიკატის ფორმას; სასწავლო პროგრამის სერტიფიკატის აღრიცხვის წესს; სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემას.

დ) სასწავლო პროგრამას, ცენტრის მიერ დადგენილი წარმოდგენის ფორმითა და შესაბამისი დანართებით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის დასახელებას, სამართლებრივ ფორმას, იურიდიულ მისამართს, ელექტრონული ფოსტის მისამართს;

გ) მოთხოვნას;

დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული დოკუმენტების ნუსხას.

4. სარეგისტრაციო განაცხადი ცენტრს წარედგინება ელექტრონული ფორმით, ცენტრის ვებპორტალის (www.edu.lsg.gov.ge) მეშვეობით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში.

5. (ამოღებულია - 1.03.2016, №ს/6).

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 16 მაისის №ს/21 ბრძანებით.

მუხლი 5. განცხადების რეგისტრაცია

1. ცენტრი ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან განცხადების შესაბამისობის შემთხვევაში, ცენტრი რეგისტრაციაში ატარებს განცხადებას და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით განმცხადებელს უგზავნის შეტყობინებას განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

3. ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან განცხადების შეუსაბამობის შემთხვევაში, განცხადება წარმოებაში არ მიიღება. შეტყობინება განცხადების რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ განმცხადებელს ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 1 დღის ვადაში ცენტრი ამოწმებს სარეგისტრაციო განაცხადის შესაბამისობას ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

5. ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან სარეგისტრაციო განაცხადის შეუსაბამობის შემთხვევაში, ცენტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს 5 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა ცენტრის ვებპორტალის (www.edu.lsg.gov.ge) მეშვეობით უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 1 მარტის №ს/6 ბრძანებით.

მუხლი 6. განცხადების განხილვა

1. სარეგისტრაციო განაცხადი განიხილება განცხადების რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში. ცენტრი უფლებამოსილია, განცხადების რეგისტრაციისას განსაზღვროს მისი განხილვის სხვა ვადა, მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა.

2. სარეგისტრაციო განაცხადის განხილვის შემდგომ ცენტრის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის რეგისტრაციის ან პროგრამის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 7. ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდვა

სარეგისტრაციო განაცხადის განხილვასა და შუალედური და საბოლოო დასკვნების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, არ გამჟღავნონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ამ წესის შესაბამისად რეგისტრაციის პროცედურის წარმართვაზე, განმცხადებლის საქმიან რეპუტაციასა და კონკურენტუნარიანობაზე, დაიცვან სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალობის, კონფიდენციალობისა და ეთიკის პრინციპები.

მუხლი 8. ექსპერტის აცილება

1. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელი უფლებამოსილია, განცხადების წარდგენისას მიმართოს ცენტრს დასაბუთებული მოთხოვნით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ექსპერტთა სიიდან ექსპერტის აცილების შესახებ.

2. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევები.

3. ცენტრი განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით წარმოდგენილ განცხადებას ექსპერტის აცილების თაობაზე და შესაბამის გადაწყვეტილებას აცნობებს განმცხადებელს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. სპეციალურ სტანდარტებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა

1. სარეგისტრაციო განაცხადით წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა, განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის მითითების გარეშე, სპეციალურ სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით, შუალედური დასკვნების მოსამზადებლად გადაეცემა ორ ექსპერტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნით, ექსპერტთა შერჩევა ხორციელდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხის შეფასების ექსპერტთა შერჩევისა და საქმიანობის წესის“ შესაბამისად, ექსპერტთა სიიდან.

3. სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში გამოიყენება სპეციალური სტანდარტები.

4. სასწავლო პროგრამა ფასდება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტების“ (შემდგომ - „სპეციალური სტანდარტები“) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის კრიტერიუმებთან მისი შესაბამისობის შესწავლის საფუძველზე.

5. ექსპერტი 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის სპეციალურ სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობას და სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასებას ასახავს შუალედურ დასკვნაში.

6. შუალედურ დასკვნას ექსპერტი ადგენს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და სპეციალურ სტანდარტებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობას აფასებს ქულებით.

7. შუალედურ დასკვნაში დადებითი შეფასების დასკვნის მისაღებად, ქულათა ჯამური რაოდენობა არ უნდა იყოს 18-ზე ნაკლები.

8. თუ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი შუალედური დასკვნებიდან ერთი დადებითია, ხოლო მეორე - უარყოფითი, სასწავლო პროგრამა შესაფასებლად გადაეცემა მესამე ექსპერტს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

9. საბოლოო დასკვნას ადგენს ცენტრის თანამშრომელი ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

10. ცენტრის თანამშრომელი აფასებს „სპეციალური სტანდარტების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ კრიტერიუმებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობას. დადებითი შეფასების დასკვნა დგება, თუ დგინდება სასწავლო პროგრამის შესაბამისობა დადგენილ ყველა კრიტერიუმთან.

11. საბოლოო დასკვნა მოიცავს:

ა) ექსპერტთა შუალედურ დასკვნაში ასახულ სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგებს;

ბ) სპეციალური სტანდარტების კრიტერიუმებთან ცენტრის თანამშრომლის მიერ სასწავლო პროგრამის შესაბამისობის შეფასების შედეგებს.

12. საბოლოო დასკვნა უნდა შეიცავდეს:

ა) რეკომენდაციას ცენტრის დირექტორის მიმართ სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) რეკომენდაციას სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიმართ.

13. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია, სარეგისტრაციო განაცხადის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ასევე, განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევებში, შექმნას სპეციალური კომისია, მოაწყოს ზეპირი განხილვა, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიმართოს სხვა ღონისძიებებს.

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 1 მარტის №ს/6 ბრძანებით.

მუხლი 10. სასწავლო პროგრამის რეგისტრაცია

1. სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი, საბოლოო დასკვნის საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

2. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს რეესტრში სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის საფუძველს.

3. სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ცენტრი სასწავლო პროგრამას არეგისტრირებს რეესტრში. რეგისტრაციისას პროგრამას ენიჭება შესაბამისი კოდი „რეესტრის ადმინისტრირებისა და წარმოების წესის“ შესაბამისად.

4. რეგისტრაციის გადაწყვეტილება ძალაშია 3 წლის ვადით. (ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან).

მუხლი 11. რეესტრი

რეესტრში ასახულია სასწავლო პროგრამის დასახელება, პროგრამის რეგისტრაციის კოდი და ინფორმაცია სასწავლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობის, ხანგრძლივობის, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი ძირითადი თემების, მწვრთნელების, სასწავლო პროგრამის მიმწოდებლისა და მისი საკონტაქტო მონაცემების შესახებ.

თავი III. სასწავლო პროგრამის ხარისხის მართვა

მუხლი 12. სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის ვალდებულებები

რეესტრში რეგისტრირებული სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სასწავლო პროგრამის მიწოდებამდე არანაკლებ 15 სამუშაო დღისა, ცენტრს შეატყობინოს კონკრეტული სასწავლო პროგრამის მიწოდების თარიღი, ადგილი, ფასი და აღნიშნულ პროგრამაზე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის რეგისტრაციის ბოლო თარიღი ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით;

ბ) სასწავლო პროგრამა მიაწოდოს სასწავლო პროგრამაში აღნიშნული გარემოს, სასწავლო რესურსებისა და სასწავლო მასალის შესაბამისად;

გ) სასწავლო პროგრამა შეაფასოს მასში გაწერილი სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემის შესაბამისად;

დ) რეგისტრირებული სასწავლო პროგრამის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ცენტრს წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში, ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით.

ე) სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადის განმავლობაში სასწავლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, უზრუნველყოს სპეციალურ სტანდარტებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ცენტრს ცვლილების განხორციელებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 13. ცენტრის უფლებამოსილება

1. რეგისტრირებული სასწავლო პროგრამის ხარისხის მართვის მიზნით, ცენტრი ახორციელებს მონიტორინგს, რისთვისაც უფლებამოსილია:

ა) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლისგან გამოითხოვოს დოკუმენტაცია;

ბ) განახორციელოს ადგილზე შემოწმების ვიზიტი;

გ) ანკეტა/კითხვარის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროგრამის მონაწილეებისგან პროგრამის შინაარსის, რესურსებისა და მიწოდების შესახებ;

დ) რეგისტრირებული სასწავლო პროგრამების ხარისხის მართვის მიზნით, ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტებთან და მიიღოს მათგან ინფორმაცია განხორციელებული სასწავლო პროგრამის შესახებ;

ე) მონიტორინგის პროცესში მოიწვიოს დარგის ექსპერტი/ექსპერტები.

2. მონიტორინგის შედეგები ფორმდება მონიტორინგის დასკვნით.

3. მონიტორინგის პროცესში თუ აღმოჩნდება, რომ დარღვეულია „სპეციალური სტანდარტების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები ან აშკარაა სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გულისხმობს სასწავლო პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების შეცვლას ან/და სასწავლო პროგრამის მოცულობის (კრედიტების) ცვლილებას, ამ შემთხვევაში დგება მონიტორინგის დასკვნა, რომლითაც ცენტრის დირექტორს მიეცემა რეკომენდაცია სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება

სასწავლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია:

ა) შეაფასოს მოხელეთა მიერ განვლილი სასწავლო პროგრამის ეფექტიანობა და მისი გავლენა მოხელის პროფესიულ საქმიანობაზე;

ბ) ითანამშრომლოს ცენტრთან და მიაწოდოს მას ინფორმაცია სასწავლო პროგრამის შედეგების შესახებ.

თავი IV. სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება და რეგისტრაციის გაუქმება

მუხლი 15. სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება

1. სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადის გასვლამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე, შესაბამისი განცხადებით მიმართავს ცენტრს სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადის გაგრძელების თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომართვის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას.

3. სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადა გრძელდება სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის ვადით.

მუხლი 16. სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის გაუქმება

1. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო პროგრამის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ:

ა) მონიტორინგის დასკვნის საფუძველზე;

ბ) სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი ფიზიკური პირის გარდაცვალების/იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

გ) მოვალეთა რეესტრში სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის რეგისტრაციის ან მასზე საგადასახადო ყადაღის დაკისრების შემთხვევაში.

2. გადაწყვეტილება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ფორმდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დანართი №2

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტები (შემდგომ - „სპეციალური სტანდარტები“) სასწავლო პროგრამების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„სპეციალურ სტანდარტებში“ გამოყენებულ ტერმინებს ამ დოკუმენტის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სასწავლო პროგრამის მონაწილისათვის განსაზღვრულ სასწავლო დატვირთვას (როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობისას) სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი კრედიტი უტოლდება 25-30 ასტრონომიულ საათს;

ბ) მწვრთნელი - სასწავლო პროგრამის მასწავლებელი;

გ) სასწავლო გარემო - სასწავლო პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, მისი მიწოდებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა;

დ) სასწავლო გეგმა - დოკუმენტი, რომელიც სასწავლო პროგრამის საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპისათვის მოიცავს: დროის განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებს, იმ სწავლის შედეგების (ცოდნისა და უნარების) ჩამონათვალს, რომელთაც სასწავლო პროგრამის მონაწილე უნდა ფლობდეს ყოველი ეტაპის დამთავრებისას, ამ სწავლის შედეგების შეძენის საშუალებების აღწერას;

ე) სასწავლო მასალა - სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების გადასაცემად აუცილებელი ინფორმაციის ნებისმიერი მატარებელი;

ვ) სასწავლო პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი - ადგილობრივი თვითმმართველობის იმ მოხელეთა ჯგუფი, რომელთა თანამდებობრივი უფლებამოსილებების შესრულებისათვის საჭირო ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების განვითარებასაც ემსახურება სასწავლო პროგრამა;

ზ) სასწავლო რესურსი - მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას;

თ) სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (შემდგომ - სერტიფიკატი) - სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ სასწავლო პროგრამის მონაწილისთვის გადაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ი) სპეციალური სტანდარტი - სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, სასწავლო პროგრამისთვის დადგენილი მოთხოვნების ერთობლიობა ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით;

კ) სწავლების მეთოდი/მეთოდები - სასწავლო პროგრამის შინაარსის ნაწილი, რომელიც გულისხმობს მწვრთნელის მიერ სასწავლო პროგრამის მონაწილეებისათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემის ხერხებს და ეხმარება სასწავლო პროგრამის მონაწილეს სწავლის შედეგების მიღწევაში (ლექცია, ახსნა-განმარტება, გონებრივი იერიში, შემთხვევის შესწავლა და სხვ.);

ლ) სწავლების ფორმა - სასწავლო პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს: ტრენინგი (მოკლევადიანი - არაუმეტეს 30 საკონტაქტო საათისა, გრძელვადიანი - 30 საკონტაქტო საათზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 100 საკონტაქტო საათისა), სემინარი (არაუმეტეს 6 საკონტაქტო საათისა), სამუშაოსგან მოუწყვეტლად სწავლება, დისტანციური სწავლება და სხვა;

მ) სწავლის შედეგები - ცოდნა და უნარები, რომლებიც სასწავლო პროგრამის მონაწილეებმა სასწავლო პროგრამის ფარგლებში უნდა შეიძინონ;

ნ) შეფასების მეთოდი - სასწავლო პროგრამის მონაწილის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, დისკუსია, პრეზენტაცია და სხვა).

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 1 მარტის №ს/6 ბრძანებით.

მუხლი 3. სპეციალური სტანდარტები

1. სპეციალური სტანდარტებია:

ა) სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტი;

ბ) სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტი.

2. სპეციალური სტანდარტები განისაზღვრება და მასთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობა დგინდება „სპეციალური სტანდარტების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 4. სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტი

1. სასწავლო პროგრამის შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობრივი უფლებამოსილებების შესრულებისათვის საჭირო ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

2. სასწავლო პროგრამა შეესაბამება სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სასწავლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება სასწავლო პროგრამაში მითითებულ სწავლების სფეროს;

ბ) სასწავლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების სფეროს, ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია;

გ) სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო პროგრამის მიზანს/მიზნებს;

დ) სასწავლო პროგრამაში, მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული მიზნობრივი ჯგუფი და სასწავლო პროგრამაში დაშვების წინაპირობა;

ე) სასწავლო პროგრამაში, მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა;

ვ) სასწავლო პროგრამაში განსაზღვრული სწავლების ფორმა შეესაბამება სწავლებისა და შეფასების მეთოდებს;

ზ) სასწავლო პროგრამის მოცულობა ემყარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). კრედიტები განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად;

თ) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები განსაზღვრულია ცენტრის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის თემების დადგენის ანგარიშით ან შეესაბამება ცენტრის მიერ დადგენილ თემატიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები შეესაბამება სწავლის შედეგებს;

კ) სასწავლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე ორგანიზების ფორმა შეესაბამება სწავლის შედეგებს;

ლ) სასწავლო პროგრამაში აღწერილი სასწავლო მასალა შერჩეულია პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით;

მ) სასწავლო გეგმის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება სასწავლო პროგრამის კრედიტების რაოდენობას;

ნ) სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტების განაწილება და მათ შორის ურთიერთშესაბამისობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ო) სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები, რომლებითაც გათვალისწინებულია სულ მცირე, სერტიფიკატის გაცემის შემდეგი საფუძვლები: სასწავლო პროგრამის მონაწილის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების

არანაკლებ 80%-ზე დასწრება და საბოლოო დადებითი შეფასება, რომლის მისაღებად სასწავლო პროგრამის მონაწილემ უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 75%;

პ) სასწავლო პროგრამას ახლავს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი;

ჟ) სასწავლო პროგრამას ახლავს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული პროგრამის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტებს: სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამის შინაარსის, მისი რესურსებისა და მიწოდების შეფასების საშუალებებს, მეთოდებსა და სიხშირეს, ხოლო განმახორციელებლის მხრიდან - მისი შემდგომი ანალიზისა და გაუმჯობესების მექანიზმს.

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 1 მარტის №ს/6 ბრძანებით.

მუხლი 5. სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტი

1. სასწავლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ სასწავლო გარემოს, სასწავლო და ადამიანურ რესურსებს.

2. სასწავლო პროგრამა შეესაბამება სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი სასწავლო გარემო და სასწავლო რესურსი, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს;

ბ) სასწავლო პროგრამას ახორციელებს მწვრთნელი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და სწავლების არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) მწვრთნელებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი სასწავლო მასალა;

ე) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ შემუშავებული სერტიფიკატის ფორმა შეესაბამება „სპეციალური სტანდარტების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 6. სერტიფიკატის მონაცემები

1. სერტიფიკატის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის სრული დასახელება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);

ბ) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) სსიპ - ვანო ხუბუნაიშვილი სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ლოგო;

დ) სასწავლო პროგრამის დასახელება და ცენტრის სასწავლო პროგრამების რეესტრში მისი რეგისტრაციის კოდი;

ე) კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად განსაზღვრული სასწავლო პროგრამის მოცულობა;

ვ) სასწავლო პროგრამის იმ მონაწილის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, რომელსაც გადაეცა სერტიფიკატი;

ზ) სასწავლო პროგრამის გავლის პერიოდი (რიცხვი, თვე, წელი);

თ) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა;

ი) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

კ) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის ბეჭედი;

ლ) სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი სერტიფიკატების სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით.

2. ამ დანართით დადგენილი მონაცემების გარდა, სერტიფიკატი შესაძლებელია შეიცავდეს სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, რომლის სერტიფიკატზე ასახვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3. სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ გაცემული სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და, სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის გადაწყვეტილებით, რომელიმე უცხოურ ენაზე/ენებზე.

სასწავლო პროგრამის სარეგისტრაციო განცხადების წარმოდგენის ფორმა

სსიპ - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და
ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორს,

განმცხადებლის (იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის) დასახელება:

სამართლებრივი ფორმა: _____

განმცხადებლის საიდენტიფიკაციო ნომერი:

განმცხადებლის მისამართი:

საკონტაქტო პირი: _____

ელ.ფოსტა: _____

საკონტაქტო ტელეფონი: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, განიხილოთ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა.

№	პროგრამის დასახელება	პროგრამის მოცულობა კრედიტებში

განცხადებაზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში, ინფორმაციას საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა რეესტრიდან;

2. სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემა;

3. სასწავლო პროგრამის სერტიფიკატის ფორმა;

4. სასწავლო პროგრამის სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი;

5. სასწავლო პროგრამა;

6. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების დადგენის ანგარიში;

7. სასწავლო მასალა, რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი;

8. სასწავლო გეგმა;

9. მწვრთნელის/მწვრთნელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემების წარმოდგენის ფორმა.

ვადასტურებ, რომ განცხადებას თანდართული დოკუმენტაცია ატვირთულია ვებგვერდზე - www.edu.lsg.gov.ge.

განცხადების დანართი _____ გვერდი.

უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი გარკვევით:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

(დღე/თვე/წელი)

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამის წარმოდგენის ფორმა

1. მონაცემები სასწავლო პროგრამის შესახებ (არაუმეტეს 800 სიტყვისა):

<p>აირჩიეთ სწავლების სფერო:</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა 2. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები 3. მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება 5. მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების მართვა 6. სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების მართვა 7. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება 8. გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება 9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება 10. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითადი საკითხები 11. მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის საკითხები 12. სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები და საშუალებები 13. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა 14. ახალგაზრდობის საკითხების მართვა 15. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 16. საჯარო მმართველობის ღიაობა 17. საზოგადოებასთან ურთიერთობა 18. შიდა აუდიტი 19. ადამიანური რესურსების მართვა 20. პროექტების შემუშავება, მართვა და მონიტორინგი (PMC) 21. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ზოგადი
---------------------------------	--

	<p>უნარები</p> <ol style="list-style-type: none"> 22. საოფისე პროგრამები (Microsoft Word, Excell, Power Point) 23. უცხოური ენები 24. ფინანსური მართვა და ბუღალტერია 25. სახელმწიფო შესყიდვები 26. სამხედრო გაწვევის საკითხები 27. სამართლებრივი აქტის მომზადების ტექნიკები 28. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა სასამართლოში 29. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო საკითხების ორგანიზება 30. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა 31. მოქალაქეთა ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები 32. მუნიციპალიტეტის ბუიჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება და ანგარიშგება 33. მონაცემების შეგროვების დამუშავების, ანალიზის მეთოდები და საშუალებები 34. კულტურის სფეროს მართვა 35. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები 36. ადმინისტრაციული წარმოება 37. სხვა
<p>კომენტარი: (შეავსეთ იმ შემთხვევაში, თუ სწავლების სფეროთა ჩამონათვალში ირჩევთ „სხვას“)</p>	
<p>სასწავლო პროგრამის დასახელება:</p>	
<p>აირჩიეთ სწავლების ფორმა:</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მოკლევადიანი ტრენინგი (არაუმეტეს 30 საკონტაქტო საათისა) 2. გრძელვადიანი ტრენინგი (30 საკონტაქტო საათზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 100 საკონტაქტო საათისა) 3. სემინარი (არაუმეტეს 6 საკონტაქტო საათისა) 4. სამუშაოსგან მოუწყვეტლად სწავლება 5. დისტანციური სწავლება
<p>სასწავლო პროგრამის მიზანი:</p>	

სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	
სასწავლო პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები:	
სასწავლო პროგრამის მსმენელთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა:	<input type="checkbox"/> 1 <input type="checkbox"/> 1-5 <input type="checkbox"/> 5-10 <input type="checkbox"/> 10-15 <input type="checkbox"/> 15-20 <input type="checkbox"/> 20-30
სასწავლო პროგრამის მოცულობა:	კრედიტი: <input type="text"/> საკონტაქტო საათი: <input type="text"/> დამოუკიდებელი საათი: <input type="text"/>
პროგრამის მოკლე აღწერა და მისი შემადგენელი ძირითადი თემების ჩამონათვალი:	
სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების დადგენის ანგარიში: (დანართი PDF ფორმატში)	
კომენტარი (აღნიშნეთ, თუკი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები შეესაბამება	

ცენტრის მიერ დადგენილ თემატიკას)		
სასწავლო პროგრამის სწავლების მეთოდები და ორგანიზების ფორმა:	<input type="checkbox"/> ლექცია <input type="checkbox"/> დისკუსია <input type="checkbox"/> პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება <input type="checkbox"/> დემონსტრირებით სწავლება <input type="checkbox"/> პრეზენტაცია <input type="checkbox"/> კონსულტირება <input type="checkbox"/> პრაქტიკული სავარჯიშო <input type="checkbox"/> გონებრივი იერიში <input type="checkbox"/> შემთხვევის ანალიზი <input type="checkbox"/> როლური თამაშები <input type="checkbox"/> ტექსტზე მუშაობა <input type="checkbox"/> კითხვა-პასუხი <input type="checkbox"/> ამბავი <input type="checkbox"/> ჯგუფური მუშაობა <input type="checkbox"/> წყვილში მუშაობა <input type="checkbox"/> ინდივიდუალური დავალება სხვა (მიუთითეთ)	
სასწავლო პროგრამის მონაწილეთა შეფასების მეთოდი/მეთოდები (მონიშნეთ), მიუთითეთ მინიმალური და მაქსიმალური ქულები:	<input type="checkbox"/> ტესტი <input type="checkbox"/> წერიტი ნამუშევარი <input type="checkbox"/> პრეზენტაცია	<div style="display: flex; flex-direction: column; align-items: center;"> <div style="border: 1px solid black; border-radius: 10px; padding: 2px 10px; margin-bottom: 5px;">მინიმუმი</div> <div style="border: 1px solid black; border-radius: 10px; padding: 2px 10px; margin-bottom: 5px;">მაქსიმუმი</div> <div style="border: 1px solid black; border-radius: 10px; padding: 2px 10px; margin-bottom: 5px;">მინიმუმი</div> <div style="border: 1px solid black; border-radius: 10px; padding: 2px 10px; margin-bottom: 5px;">მაქსიმუმი</div> <div style="border: 1px solid black; border-radius: 10px; padding: 2px 10px; margin-bottom: 5px;">მინიმუმი</div> <div style="border: 1px solid black; border-radius: 10px; padding: 2px 10px; margin-bottom: 5px;">მაქსიმუმი</div> <div style="border: 1px solid black; border-radius: 10px; padding: 2px 10px; margin-bottom: 5px;"> </div> </div>

	<input type="checkbox"/> დისკუსია მინიმუმი მაქსიმუმი <input type="checkbox"/> ესე მინიმუმი მაქსიმუმი <input type="checkbox"/> პროექტი მინიმუმი მაქსიმუმი <input type="checkbox"/> პრაქტიკული სავარჯიშო მინიმუმი მაქსიმუმი <input type="checkbox"/> ზეპირი გამოკითხვა მინიმუმი მაქსიმუმი <input type="checkbox"/> შემთხვევის ანალიზი მინიმუმი მაქსიმუმი სხვა (მიუთითეთ)
პროგრამის სწავლის შედეგები (ცოდნა და უნარ-ჩვევები):	
სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სასწავლო მასალის ჩამონათვალი: საკითხავი ლიტერატურა ბეჭდური/ელექტრონული სახით, ტრენინგზე დასარიგებელი მასალა და ა.შ.	

<p>სასწავლო მასალა, რომელიც საყოველთაოდ არ არის ხელმისაწვდომი (დანართი PDF ფორმატში, იმ შემთხვევაში, თუ ის გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით):</p>	
<p>სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:</p>	<p><input type="checkbox"/> დასწრება: საკონტაქტო საათების % <input type="text"/></p> <p><input type="checkbox"/> საბოლოო დადებითი შეფასება: მაქსიმალური შეფასების % <input type="text"/></p> <p>სხვა (მიუთითეთ) <input type="text"/></p>
<p>სასწავლო გეგმა (დანართი PDF ფორმატში)</p>	
<p>სასწავლო პროგრამის ადამიანური რესურსი - მწვრთნელის/მწვრთნელების ჩამონათვალი:</p>	
<p>მწვრთნელის/მწვრთნელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემების ფორმა: (დანართი PDF ფორმატში)</p>	
<p>პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო გარემო:</p>	
<p>პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის ჩამონათვალი:</p>	<p><input type="checkbox"/> მაგიდები, სკამები</p> <p><input type="checkbox"/> კომპიუტერი</p> <p><input type="checkbox"/> ინტერნეტი/ინტერნეტრესურსები</p>

	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> პროექტორი, პროექტორის ეკრანი <input type="checkbox"/> საკანცელარიო მასალა (რვეული, ბლოკნოტი, კალამი) <input type="checkbox"/> ფლიპჩარტის დაფა, მარკერები <input type="checkbox"/> ფლიპჩარტის ქაღალდი <input type="checkbox"/> სმარტ-ბორდი <input type="checkbox"/> პერსონალური კომპიუტერები მონაწილეებისათვის <input type="checkbox"/> ვიდეოკამერა <input type="checkbox"/> საწერი დაფა, ცარცი <input type="checkbox"/> ფურცლები, ფერადი ფურცლები <input type="checkbox"/> ფლომასტერები <p>სხვა (მიუთითეთ)</p>
<input type="checkbox"/> ვადასტურებ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეს	

მწვრთნელის/მწვრთნელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემების წარმოდგენის ფორმა

№	მწვრთნელის/მწვრთნელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები			
1.	სახელი, გვარი:			
2.	პირადი ნომერი:			
3.	მისამართი:			
4.	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, E-mail):			
5.	განათლება/კვალიფიკაცია: (მიღებული კვალიფიკაციის, განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გამცემი დაწესებულების სახელწოდების, სერიის, ნომრის, გაცემის თარიღის მითითებით)			
6.	სამუშაო გამოცდილება: (სწავლების მიმართულებით მუშაობის გამოცდილების, ტრენინგის, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სახელწოდების, განხორციელების თარიღისა და ადგილის მითითებით)			

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების დადგენის ანგარიშის
წარმოდგენის ფორმა

წარმოადგინეთ სასწავლო პროგრამით შესასწავლი თემების დადგენისათვის განხორციელებული, დასაბუთებული/არგუმენტირებული ინფორმაციის მოძიების ანგარიში:

➤ ინფორმაცია განმახორციელებლის შესახებ

➤ ჩატარების არეალი და ვადები

➤ გამოყენებული მეთოდოლოგია

თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უპასუხეთ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს და შესაბამისად შეავსეთ ანგარიშის ფორმა:

1. ვინ არის სასწავლო პროგრამის სამიზნე ჯგუფი?

მოკლედ აღწერეთ სამუშაო

2. რა კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს სამსახურებრივი თანამდებობა სამიზნე ჯგუფის მოხელეებს? რა არის მათი ყოველდღიური სტანდარტული სამუშაო?

ჩამოთვალეთ შესასრულებელი მოვალეობები და ამოცანები

მოვალეობა 1

ამოცანა 1

.....
.....
ამოცანა 2

.....
.....
მოვალეობა 2

.....
.....
ამოცანა 1

.....
.....
ამოცანა 2

.....
.....
მოვალეობა 3

.....
.....
ამოცანა 1

.....
.....
ამოცანა 2

გამოკვეთეთ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ცოდნა და უნარები

3. რა ცოდნასა და უნარებს უნდა ფლობდნენ სამიზნე ჯგუფის მოხელეები იმისათვის, რომ აღნიშნული მოთხოვნები დააკმაყოფილონ და ყოველდღიური საქმიანობა შეასრულონ?

ცოდნა

1.
2.
3.
4.

5.-----

უნარები

1.-----

2.-----

3.-----

4.-----

5.-----

აღწერეთ სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები

4. რა ცოდნას მიიღებენ აღნიშნული მოხელეები სასწავლო პროგრამის განხორციელების შედეგად?

1.-----

2.-----

3.-----

4.-----

5.-----

5. რა უნარ-ჩვევები განუვითარდებათ აღნიშნულ მოხელეებს სასწავლო პროგრამის განხორციელების შედეგად?

1.-----

2.-----

3.-----

4.-----

5.-----

ჩამოთვალეთ რა თემები უნდა შევიდეს სასწავლო პროგრამაში თქვენ მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად (შესაბამისი ცოდნისა და უნარების გასაავითარებლად):

1.-----

2.-----

3.-----

4.-----

5.-----

თემა 1. როგორ უკავშირდება თემა სასწავლო პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს?

თემა 2. როგორ უკავშირდება თემა სასწავლო პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს?

თემა 3. როგორ უკავშირდება თემა სასწავლო პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს?

თემა 4. როგორ უკავშირდება თემა სასწავლო პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს?

➤ რა არის ის საჭირო დანადგარები/მასალები და აღჭურვილობა, რომლებიც აღნიშნულ მოხელეებს სჭირდებათ ყოველდღიური საქმიანობის შესარულებლად?

-
-
-
-
-

დანართის სახით წარმოადგინეთ შემდეგი მტკიცებულებები: ინტერვიუს ანგარიში/გამოკითხვის ანგარიში/ფოკუს-ჯგუფის ანგარიში და დასწრების ფურცელი/შესწავლილი თეორიული მასალის ლინკები/გამოყენებული საექსპერტო დასკვნა და ა.შ.

ექსპერტის შუალედური დასკვნის ფორმა

ცენტრის დოკუმენტბრუნვის სისტემაში სასწავლო პროგრამის
სარეგისტრაციო განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №-----
(დღე/თვე/წელი)

სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასება:

1. სასწავლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება სასწავლო პროგრამაში მითითებულ სწავლების სფეროს.

შეფასება:

1 - შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

2. პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების სფეროს, ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია.

შეფასება:

2- შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

3. სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო პროგრამის მიზანს/მიზნებს.

შეფასება:

1- შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

4. სასწავლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდები შერჩეულია სწავლების ფორმის შესაბამისად.

შეფასება:

2- შეესაბამება

1- ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

5. სასწავლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე ორგანიზების ფორმა შეესაბამება სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებს.

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

6. სასწავლო პროგრამაში მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

შეფასება:

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

7. სასწავლო პროგრამაში მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი.

შეფასება:

1 - შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

8. სასწავლო პროგრამაში, მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა.

შეფასება:

1 - შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

9. სასწავლო პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) თანახმად. კრედიტები განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად.

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

10. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები განსაზღვრულია ცენტრის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების დადგენის ანგარიშით ან შეესაბამება ცენტრის მიერ დადგენილ თემატიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

11. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები უზრუნველყოფს სწავლის

შედეგების მიღწევას.

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

12. სასწავლო პროგრამაში აღწერილი სასწავლო მასალა შერჩეულია პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების მიხედვით.

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

13. სასწავლო გეგმით გაწერილი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო პროგრამის კრედიტების რაოდენობას.

შეფასება:

1 - შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

14. სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტების განაწილება და მათ შორის ურთიერთშესაბამისობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

14.1. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული თემის შესასწავლად დათმობილი დრო განაწილებულია დღეების, სესიების მიხედვით და საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად.

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

14.2. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული თემის შესასწავლად განსაზღვრული სწავლების მეთოდი და ორგანიზების ფორმა უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას.

შეფასება:

1- შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

14. 3. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული თემის შესასწავლად განსაზღვრული სასწავლო მასალა და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას.

შეფასება:

1 - შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

15. სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები, რომლებითაც გათვალისწინებულია სულ მცირე, სერტიფიკატის გაცემის შემდეგი საფუძვლები: სასწავლო პროგრამის მონაწილის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების არანაკლებ 80%-ზე დასწრება და საბოლოო დადებითი შეფასება, რომლის მისაღებად სასწავლო პროგრამის მონაწილემ უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 75%.

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

16. სასწავლო პროგრამას ახლავს მისი შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტებს: სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამის შინაარსის, მისი რესურსებისა და მიწოდების შეფასების საშუალებებს, მეთოდებსა და სიხშირეს, ხოლო განმახორციელებლის მხრიდან - მისი შემდგომი ანალიზისა და გაუმჯობესების მექანიზმს.

შეფასება:

2 - შეესაბამება

1 - ნაწილობრივ შეესაბამება

0 - არ შეესაბამება

დასაბუთება:

საბოლოო ქულა

შესაბამისი უჯრა მონიშნება X სიმბოლოთი

დასკვნა დადებითია

დასკვნა უარყოფითია

შედგენის თარიღი: _____
(რიცხვი, თვე, წელი)

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 16 მაისის №ს/21 ბრძანებით.

სასწავლო პროგრამის შეფასების საბოლოო დასკვნის ფორმა

ცენტრის დოკუმენტრუნვის სისტემაში სასწავლო პროგრამის
სარეგისტრაციო განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №-----
(დღე/თვე/წელი)

I. განმცხადებელი:

II. სასწავლო პროგრამის დასახელება:

III. შუალედური დასკვნის ქულა

(ორი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საშუალო ქულა ან მესამე ექსპერტის დასკვნის ქულა)
და ანალიზი:

IV. პროგრამის რესურსები (ავასებს ცენტრის თანამშრომელი)

(შესაბამისი უჯრა მოინიშნება X სიმბოლოთი)

1. სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი სასწავლო რესურსი, რომელიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და სწავლების ფორმას.

დასტურდება

არ დასტურდება

2. სწავლებას ახორციელებს მწვრთნელი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობისა და სწავლების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება.

დასტურდება

არ დასტურდება

დასაბუთება:

3. პროგრამის მიმწოდებლის მიერ შემუშავებული სერტიფიკატის ფორმა შეესაბამება მისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება

არ დასტურდება

დასაბუთება:

4. სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი.

დასტურდება

არ დასტურდება

V. რეკომენდაცია ცენტრის დირექტორის მიმართ:

რეგისტრაციის შესახებ

რეგისტრაციაზე უარის შესახებ

VI. რეკომენდაცია პროგრამის მიმწოდებლის მიმართ:

VII. დასკვნის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

1. _____
2. _____
3. _____

შედგენის თარიღი: _____
(რიცხვი, თვე, წელი)

შეტანილია ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის 2016 წლის 16 მაისის №ს/21 ბრძანებით.